ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 17 07 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 234-ბ

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

რექტორის 2018 წლის 16 ივლისის N233-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის; არსებული კვოტის გათვალისწინებითა და ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის ლევან ქისტაურის 2018 წლის 17 ივლისის N1/1877 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება რექტორის 2018 წლის 16 ივლისის N233-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ“ და ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტების დანართები - დანართი N1 და დანართი N2 ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.

2. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს; ენების ცენტრს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

დანართი N1

2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ვაკანტური ადგილები:

1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:**
   ა) სამართალი **- 15 ადგილი;**
   ბ) საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები - **8 ადგილი;**
   გ) ინგლისური ფილოლოგია **- 5 ადგილი;**
   დ) ისტორია - **4 ადგილი;**
   ე) ფილოლოგია - **3 ადგილი**
2. **ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში**

   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
   ა.ა) ფინანსები და საბანკო საქმე - **3 ადგილი;**
   ა.ბ) მენეჯმენტი - **3 ადგილი;**
   ა.გ) ტურიზმის ბიზნესი - **3 ადგილი;**
   ა.დ) ეკონომიკა - **3 ადგილი;**
   ა.ე) ფსიქოლოგია -4 **ადგილი;**
   ა.ვ) კომპიუტერული მეცნიერება - **3 ადგილი;**

   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე
   ბ.ა) ბიზნესის ადმინისტრირება **- 3 ადგილი;**
   ბ.ბ) ეკონომიკა - **3 ადგილი;**
   ბ.გ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია **- 3 ადგილი;**
   ბ.დ) ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება **- 2 ადგილი**

დანართი N2

2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2018 წლის 22 - 24 აგვისტო;

ბ) კრედიტების აღიარებისა და გასაუბრების კომისიების მუშაობა და დასკვნების მომზადება - 2018 წლის 23 აგვისტო - 4 სექტემბერი;

გ) სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და მათი თანხმობის/უარის წერილობითი დადასტურება - 2018 წლის 27 აგვისტო - 7 სექტემბერი;

დ) მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 2018 წლის 10 - 11 სექტემბერი.

მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (ივსება ადგილზე);

ბ) სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);

ე) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის (ჩარიცხვის ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა და სხვ.) ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული); მაგისტრანტებისათვის - ინფორმაცია საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარებული ტესტის ტიპის შესახებ;

ვ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

ზ) სახელმწიფო/სოციალური გრანტის მქონე სტუდენტებმა ცენტრის მიერ გაცემული ცნობა გრანტის გადმოტანის შესაძლებლობის, ოდენობის (ლარში) და დაფინანსების პერიოდის მითითებით.

თ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების (არსებობის შემთხვევაში) ცენტრის მიერ აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.